სს სუფსა ენერჯი

#09/02
09.02.2021

საქართველოს გარემოსა დაცვის და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ სს „სუფსა ენერჯი" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდ. ბარამიძისწყალზე გეგმავს 7.8 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ბარამიძე ჰესი"-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას. როგორც თქვენთვის ცნობილია, აღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიში წარდგენილი იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მაგრამ 2019 წლის 12 აპრილს დანიშნული საჯარო განხილვის ჩატარება ვერ მოხერხდა, ძირითადად არაადგილობრივი პირების რადიკალური წინააღმდეგობის გამო. გამომდინარე აღნიშნულიდან სამინისტრომ შეაჩერა სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება, რაზედაც გვეცნობა 2019 წლის 17 ივნისის N6098/01 წერილით. ამავე წერილით გადმოგზავნილი იქნა მოსახლეობის კოლექტიური მიმართვა (სამინისტროს შემოსავლის N7138. 16.05.2019 წ). წერილში მოცემულ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში 1.

საჯარო განხილვის ჩაშლის შემდეგ, სს „სუფსა ენერჯი"-ს მიერ ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩატარდა მრავალი შეხვედრა, რომლის დროსაც მოსახლეობას მიეცა სრული ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის თაობაზე და რის შედეგადაც სოფ. ზემო სურების მოსახლეობა წინააღმდეგი არ არის პროექტის განხორციელებაზე. სოფ. სურების მოსახლეობის განცხადება მოცემულია დანართში 2.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ სკოპინგის ანგარიშის განახლებულ ვერსიას და გთხოვთ თქვენს გადაწვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

1. სკოპინგის ანგარიში 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელ. ვერსია;
2. საპროექტო ტერიტორიის Shp- ფაილები - CD-ზე;
3. ამონაწერი საჯარო და სამეწარმეო რეესტრიდან.

პატივისცემით,

ზაალ ბაკურაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის
დავით ანდღულაძის მინდობილი პირი
(მინდობილობის N 210003861; რეგისტრაციის თარიღი: 06.01.2021)